

მშობლიური პატრიარქი

იუმორისტ.
ჟურნალი

№ 18

მოხერხებული განცხადება



თანამედროვე ომმა ცხოვრებას განსაკუთრებული მწუხარების დაღი დასვა. ხალხი გასართობს დაეწაფა. საკმარისია ისეთი მკირე დაპირება, როგორც აქ აფიშაზეა გამოცხადებული, რომ დარბაზი ხალხით აივსოს.

ჩვენი ოჯახი.

ჩემის აზრით იშვიათია ისეთი მწყობრი და მოწესრიგებული ოჯახი, როგორც ჩვენია. მიუხედავად წვერთა სიმრავლისა და სხვა და სხვაფერობისა, საერთო ჰარმონია და გულის ამაჩუყებელი მწყობრი ცხოვრება არასოდეს არ ირღვევა ხოლმე. და ეს ასე მომდინარეობს, რაც მე თავი ჩემი და მით უმეტეს ჩვენი ოჯახის არსებობა მახსოვს.

წარმოდგინეთ, ვერც ამ ომმა მოახდინა მასზე თუნდაც ოდნავ საგრძნობი ცვლილება. იგივე თანხმობა და შრომის მეგობრული განაწილება.

თაობიდანვე ასე იყო შემოდებული. თიხის ჭურჭლეულობა ბესიკოს უნდა ემტვრია. მან ამ მხრივ მართლაც გასაოცარი ენერჯია და საქმის სიყვარული გამოიჩინა. აგიწერთ უკანასკნელ კვირეს, რომ შორეულ წარსულში მოგზაურობით თავი არ შეგაწყინოთ. ორშაბათ დილით, როცა ჩაის დროს მურაბა მოჰქონდა, ქილას ხელი შეუშვა (რადგან არ უნდოდა ხელის მაგრა მოქერით მისი თავისუფლება შეებორკა) და იატაკს დაახეთქა. მართალია ქილა გატყდა, მაგრამ არც მურაბას დაჰყრია ხეირი.

ოთხშაბათს სადილათ მშვენიერი სურა გახდა მსხვერპლი მისი თავაზიანი მოპყრობისა და დიასახლისი ძლიერ დაადონა. ცივი წყლის დაკარგვამ ზაფხულში მართლა ხომ არც ისე ადვილია წყლის გაცივება. მისი წონა ყინული სჭირდება.

როცა პარასკევ საღამოს სახლის აივანში დამტვრეული თევზების გორაკი ნახეს, არავის ექვიც არ შეპარვია გულში, რომ ეს უთუოდ ბესიკოს ნამოქმედარი იქნებოდა და მართლაც ასე გამოდგამის ისეთი კაცი არ არის, რომ მასზე დაყრდნობა არ შეიძლებოდეს და თავისი დაუდევრობით ვისმე იმედი გაუტრუს.

მაგრამ ჩვენს ოჯახში მარტო ბესიკოს უპირატესობას არ შეადგენს მტკიცე ხასიათი და დაკისრებული საქმის სიყვარული. პატარა თამრო, რომელსაც, მინდობილი აქვს შუშეულობის მტვრევა, არა ნაკლებ უნარს იჩენს თავის საქმეში. სულ რაღაც ერთი თვის განმავლობაში მან შემუსრა შეიდი ჩაის ქილა, ამდენივე ღვინისა, ერთი დიდი სახილვე ვაზა, რომელიც წინა დროებში არა ერთხელ გადაუტრია მის გააფთრებულ იერიშებს. გუშინ წინ, მოულოდნელი თავდასხმით იმსხვერპლა მან სამი

ბოთლი, რომელთაგან ორი ღვინით იყო ყელამდე აღსავსე. მის არტიტიულ ხელ-მარჯვეობას ყველანი განცვიფრებასა და ხანდისხან აღტაცებაშიაც მოჰყავდა. „პატარა ხარ ეგეთი ხარ, გაიზრდები რა იქნებიო“ ეუბნებოდნენ ხოლმე მას ნაცნობები. და იგი მუდამ იბღვირებოდა, რადგან არ მოსწონს, როცა უბრალო რამეზე აქებენ და ჰბერავენ მის სახელს. ქართველი მოღვაწე როდია!

ცხადია ამ თანაგრძნობათა გამოცხადებამ შეასხა ფრთები ჩვენს მსახურს, მარიას, რომელსაც დაკისრებული აქვს რკინეულების მოსპობა. მან გასაოცარის მოხერხებით გადასტეხა ახალ ნაყიდი დიდი დანა, ხელი მოაგლიჯა ხორცის საკვებ მანქანას, დაქექა სამიოდ ქვაბი, შუაზე გადაამტვრია საუცხოვო ქაფქირი, სრულიად გააქრო დანა ჩენგლები და ვერცხლის კოვზები (ალბათ რკინეული ეგონა) ხოლო დასასრულ სუფრიდან გადმოაგდო ძვირფასი „წყალმადული“ (ჩვენს ოჯახში წმინდა ქართული კილოა დაცული) (სამოვარი) და მართალია შიშველი ფეხები მოიმდულრა, მაგრამ „წყალმადულიც“ საბოლოოდ მოინელა.

ასე მწყობრათ და „სოლიდრულათ“ მიმდინარეობდა ჩვენი ოჯახის ცხოვრება კეთილ-დღეობისა და აღორძინების გზაზე. მეზობლები შურითა და ბრახით იხერხებოდნენ ჩვენი შემხედვარე. ან კი ვის არ მოხიბლავდა ასეთი ერთსულოვნებით გამსჭვალული ბრძოლა ცხოვრებისათვის.

მაგრამ, მოგესხნებათ ბატონებო, ერთი დრო ქვეყნად არავის შერჩენია. ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ ძირბულიანათ შესცვალა ჩვენი ცხოვრება და უკიდურესობამდე გაამწვავა დამოუკიდებლობა ოჯახის წვერთა შორის. კვირა დილით, როცა ჩაიზე კარაქი მოჰქონდა, პატარა თამროკომ ხელი შეუშო ძვირფას ფარფორის (თიხის) ბადის და გასტეხა.

ეს აშკარა შექრა იყო სხვათა მოქმედების ფარგალში და როგორც მოველოდით უმაღლეს გამოიწვია ბესიკოს აღშფოთება და პროტესტი ძნელი სათქმელი იყო, თუ რა კატეგორიას უნდა მიჰკუთვნებოდა თამარის მოქმედება: იყო ეს განზრახ ჩადენილი „მანევრი“, ასე ვსთქვათ „დემონსტრაცია“ ბენსარიონის კომპენტეციის სფეროში შესაქრელად თუ უბრალო შემთხვევითი მოვლენა ყოველგვარ ბოროტ განზრახულებათა გარეშე ჩადენილი. არც პირველისა და არც მეორის დასამტკიცებლათ არა

ვითარი კონკრეტული საბუთი არ იყო და აი ამიტომაც იმავ საღამოს შესდგა საოჯახო სამედიატორო სასამართლო.

ბრალმდებლის მხრივ მედიატორეთ არჩეულ იქნა ბ-ნი ჭუჭუნი, ხოლო ბრალდებულმა დაასახელა ბ-ნი კუკუნი. თავმჯდომარეთ, მედიატორეთა მიერ ხმის უმეტესობით, არჩეულ ვიქმენ მე.

სხდომა საღამოს 8 საათზე დაიწყო, თუმცა კედლის საათმა ჩვენს შეცდომაში შესაყვანად ათის ნახევარი დარეკა.

— ბატონებო და ქალბატონებო! ათროლოგ-ბულისა და ტბილის ხმით დაიწყო თავისი ისტორიული (ჩვენს ოჯახში) სიტყვა ბატონმა ჭუჭუნიმ. — ჯერ, ჯერ კიდევ არ შეშრობია მრავალ-ტანჯულსა და ყველასაგან ფეხქვეშ გათელილ იატაკს იმ კარაქისა და წყლის სუნი, რომელიც ქალბატონი თამარის ბოროტი განზრახვით დანთხეულ იქნა ამ რამოდენიმე საათის წინ; ჯერ კიდევ გულის აღმაშფოთებელსა და ცრემლის მომგვრელ სანახაობას წარმოადგენენ ის ფერადი ნამტვრევები ჩვენი საყვარელი ბაადისა რომელსაც ამ ათიოდ საათის წინ შვილივით გულს ჩაეკრა სურნელოვანი კარაქი ჩვენთვის შესანახად რომელიც მსხვერპლი შეიქნა ქ-ნი თამარის მტრობითა და შურით აღსავსე ხელისა; ჯერ კიდევ არ გამქრალა ნათელი სხივი ჩვენი ოჯახის თანხმობის, ერთობისა და სოლიდარობის ლამპარისა, რომელსაც ასე ვერაგულათ მახვილი დასცა ქ-ნ თამარის მზაკვარმა ხელმა; ჯერ კიდევ... მაგრამ ბატონებო რამდენი „ჯერ-კიდევ“ უნდა ითქვას, რომ აღინჯსხოს ყოველი მოსალოდნელი უბედურება ქ-ნ თამარის მიერ გამოწვეული მოქმედებათა შედეგებისა? ამას ვერ გამოსთქვამს თვით თევდორე ლლონტის დაუსრულებელი, ანუ უკეთ ვსთქვათ უთავ ბოლო მწერლური კალამი...

ჯერ ორიოდ აღვზნებული სიტყვაც არ წარმოეთქვა ორატორს, რომ დარბაზში აქა იქ, ქვითინი გაისმა. თვით ბრალდებულსაც მწუხარების ცრემლი სდიოდა. აღბათ ამ გარემოებას უნდა მიეწეროს, რომ ბ-ნმა ჭუჭუნიმ სიტყვის კილო შესცვალა და მალე სასურველ დასკვნამდე მიგვიყვანა. უადგილობის გამო ნებას მივცემ ჩემს თავს ბ-ნი კუკუნისა და ჩემი ვრცელი სიტყვები არ მოვიხსენიო, ხოლო საზოგადოებას გავაცნო ავტორიტეტიული სამსჯავროს დადგენილება, რაიც შეიძლება სხვა ოჯახებსაც გამოადგეთ სახელმძღვანელოთ. —

აი ის დადგენილება:

1) ვალებთ რა მხედველობაში, რომ ქალბატონი თამარის მიერ თინის ბადის გატეხა არ იყო განძრახ ბოროტის გულისთქმით ჩადენილი, რომ ამით არ ჰსურდა მას ბესიკოს პრესტიჟის დაცემა და მის გავლენათა სფეროში შექრა. სამედიატორო სასამართლო ერთხმად აღგენს:

2) კომპენსაციის სახით მიეცეს ბესოს უფლება გასტეხოს რამოდენიმე შუშის ჭურჭელი.

რითაც მან უკვე სავსებით ისარგებლა და სხდომის დასრულებისთინავე, მოხერხებული ხელის მოქმედით სტოლიდან იატაკზე დაანარცხა მშვენიერი ლამპა.

ეშმაკი.



ესა სთქვა.

გუშინ წინ ერთმა ქაბუკმა ზედ კარ წინ ამოძიარა, კვენესოდა, თანაც საბრალომ სალამი გამიზიარა.

სალამს სალამი მიუძღვენ. მიზეზიც ვკითხე კვენისა; აღარ ყოფილა, საბრალო, წინათ რო იყო, დღეს ისა.

ვკითხე: ძმობილო, რათ კვენისი? ხომ არ გაწუხებს წყლოლია? ან სილარიბე, სიმშილი, რამ გაგტეხია გულია?

ან იქნებ ომში დაქრილხარ გტანჯავენ მწარ იარები? ან კიდევ, ბინა არა გაქვს კარდაკარ დაიარები?!

მწარეთ ილიმა, გულ-მკვდარად
დაბლა დაღუნა თავია:

ნუ თუ ვერა გრძნობ, ძმობილო,
ჩვენს ერგვლივ რა ამბავია?

ჩვენს გარეშემო წყეული
ცეცხლი, მახვილი ბრუნავსო,
მსხვერპლი მსხვერპლს მისდევს ურიცხვი,
მათთვის არავინ ზრუნავსო!..

აქ კი ვუყურებ, ლხინობენ
მეჯლისებს განიცდიანო,
ჰყვლეფენ მეომართ ოჯახებს,
მით ჯიბეებსა ზრდიანო.

გაიძახიან: არიქა
შეგუდგეთ ფულის კრებასო,
და უსირცხვილოთ ცდილობენ
შემთხვევით გამდიდრებასო.

ამის მნახველსა რაღა მაქვს
მე ბედშავს გასახარელი?
კენესა მხოლოდ ნუგეში,
ან მსხნელის დასადარელი.
რითი მოვიკლა გულს ბოლმა
სხვა რაა ამის სარგები,
აფსუს, ესენი სცოცხლობენ,
იქ იხოცება კარგები...


დახმარებისა მაგიერ
უფრო გვიჭერენ მუხრუჭებს,
ერთ ტყავსა სამჯერ გვაძრობენ
ფულით ივსებენ თვით მუჭებს.

მე ეს მაკენებს, რომ მტერი
მით უფრო გათამამდება
სისხლი იღვრება უბრალოთ
ნაყოფი დაგვიანდება.

იქ მეომარი, მღევ გმირი,
მოიღუნება წელშია,
როცა გაივებს ცოლ-შვილი
აქ ესრე განსაცდელშია.

ესა სთქვა, გზასვე გაუდგა
გულ დაკოდილმა იარა
მაგრამ გულისა ნადები
სრულად ვერ გამიზიარა.

ა. განჯის-კარელი.



თავდაცვის ტაქტიკა

— თუ შეიძლებოდეს შესწირეთ ცოტა ფული
ძალთა შორის ესთეტიურ გემოვნების გამავრცე-
ლებელ საზოგადოების სასარგებლოდ,— გეუბნებათ
კოპწია ქალი და გულზე ქაღალდის ნაგლეჯს გიბ-
ნევთ. (ქაღალდზე დახატულია „მურია“. ენა გამო-
გდებული და ყურ აცქვეტილი). ვილაც ულვაშები-
ანი ვაეზატონი კი გიწოდებთ რკინის ყულაბს.
თქვენც ძალა უნებურად იღებთ საფულიდან ფულს
და ყულაბში უძახებთ. ეს საქმე ისეთი სისწრაფით
ხდება, რომ ჩვეულებრივი გულუბრყვილო ადამი-
ანი ვერაფრის მოფიქრებას ვერ ასწრობს. მე კი, ამ
ზედმეტ ხარჯის თავიდან ასაცდენათ მთელი სისტე-
მა მაქვს გამოგონილი. მხოლოდ ზოგ-ზოგი ბუნქტე-
ში ჩემი სისტემისა ვერ არის კედევ რიგზე შექუშა-
ვებული და იმედია მაპატიებთ.

* *

საუკეთესო საშვალეზათ ვრაცხ მე შემდეგ დი-
ალოგს ჩემსა და შეწირულებათა მკრეფავ ასულ-
თა შორის:

— ბატონო, ხომ იცით თუ რა აუტანელ
შრომაში ატარებს თავის სიცოცხლეს ტრამვაის ვა-
გონები, მაშ, თუ შეიძლებოდეს შესწირეთ ცოტა
რამ ფული მათ სასარგებლოთ.

— ანგელოზისებურა ქალბატონო, მოითმინეთ
ჯერ ნუ გამიკეთებთ გულზე მაგ თქვენ ნიშანს...
წინაპირველად მიპასუხეთ რამოდენიმე კითხვებზე...
მე, როგორც, ფულის შემწირველს, ნება მაქვს და-
გისვათ იგინი.

- ბძანეთ!
- თქვენი სახელი და გვარი?
- არ ვიცი, ღმერთმანი, თუ რად გპირდე-
ბათ ჩემი სახელი და გვარი!
- მითხარით, მითხარით, აი, ამ წიგნაკში
უნდა ჩავსწერო.
- ეენია ვარდულებულაძე.
- კეთილი. რის სასარგებლოდ აგროვებთ
ფულს?

— დასახიჩრებულ ტრამვაის ვაგონების სასა-
რგებლოდ.

— მიჩვენეთ თქვენი ბარათი, რომელიც ფუ-
ლის შექრებ კომიტეტმა მოგცათ... თვალში ცრე-
მლი მთვერიათ... ამოიწმინდეთ: სირცხვილი იქნება

რომ თქვენისთანა კოპწია არსებას ცრემლები აუ-
შნოებდეს „ასი მკრან გულში მირჩვენის მტირალი
ქალის ცქერასა“ მაშ, მიჩვენეთ ბარათი... მოითმი-
ნეთ, მოითმინეთ, სად მირბიხართ? ფული აღარ
გინდათ?..

ეს საშვალება მხოლოდ მაშინ არის გამოსა-
დგეი, თუ ანგელოზისებურ ქალბატონს უღვაშო-
სანი ვაჟბატონი თან არ ახლავს. უკანასკნელ შემ-
თხვევაში შესაძლოა საქმე პოლიციის ოქმითა და
ჯარიმით დამთავრდეს, რადგან ამისთანა დიალოგის
შემდეგ უღვაშოსანი კრივობანას ჰმართავს ხოლმე.

* *

კარგია, აგრეთვე თავის მოგიჟიანება...

— ბატონო, შესწირეთ ფული ბებერი კატე-
ბის თავშესაფარის ასაშენებლად.

— ჰა! რა სთქვით!.. არა, არა... ოოო! ჰო!
ჰო! ფული, აჰ, მიიღეთ ხუთასი თუმანი!

— ბატონო, ეს ხომ გაზეთის ნაგლეჯია.

— რაო? რა სთქვი ეგა? ეს ქალაღლის ნახე-
ვიაო! რააო! მაშ თქვენ! ხა! ხა! ხა! ხა! მაშ თქვენ
ცენზორი... კონფისკაცია...

მერწმუნეთ, რომ ამ სიტყვების შემდეგ ყო-
ველი „ყულაბოსანი“, განურჩევლად სქესისა, გა-
საოცარი, სიჩწრაფით ჩამოგშორდებათ.

* *

კადგია აგრეთვე შემდეგი საშვალება:

„ყულაბისტკა“ მოვა და მოგთხოვთ ფულს.
თქვენ უაზროთ გაიღიმებით და უაზროდვე დაიყ-
ვირებთ... „ყულაბისტკა“ სახტად დარჩება... თქვენ
გამოჰყოფთ ენას, ყურებზე თითებს მიიღებთ და
უაზროდ მიაშტერდებით „ყულაბისტკას“... ეს იმას
ნიშნავს, რომ თქვენ ვითომდა ყრუ და მუნჯი
ხართ... „ყულაბისტკა“ წამსვე მოგცილდებათ.

* *

*

ერთმა ჩემმა ნაცნობმა შემდეგი ხერხი იხმარა:
...რადგან მას არასოდეს არა ჰქონდა ზედმეტი შესა-
წირავი ფული, მიჰყო ხელი სახელმწიფოს დახმა-

რებას ფულის მოკრაში, და თავისი ნაკეთები ფუ-
ლებით უმასპინძლდებოდა „ყულაბისტკებს“, მაგრამ
შემდეგ ხანებში მან თავისი ნაკეთები ფულები „ყუ-
ლაბისტკების“ ვიწრო ფარგლებში არ დასტოვა და
უფრო დიდი გზა მისცა, მხოლოდ ამის შედეგი ის
იყო, რომ მას რამოდენიმე წლით საქართველოს
თბილი და ნაზი ჰავა უფრო სასტიკსა და სუსხიან
ჰავაზე გააცვლევინეს.

გუგუული

ო მ ი ა * .

ომია ირგვლივ ფიცხელი,
ტყვია წამალი გვქირია.

უამისობით რას იხამს
თუნდ მეომარი გმირია?!

ბევრი ვაჟ-კაცი ზის უქმათ,
უ-ტყვია-წამლოთ თოფითა,
გაჰყურებს: მტერი წინ იწევს
დიდი ამბით და ყოფითა.

გული უკვდება მეომარს,
ცრემლი ადგება თვალებზე,
მაგრამ ეს ტანჯვა სრულებით
ვერა მოქმედობს ქალებზე.

დღეს ჩვენნი ქალნი, კაბებით
ტყვიებს*) რომ დაატარებენ,
ვურჩევ დაუთმონ მეომრებს,
იქ საქმეს (?) მოახმარებენ.

ვურჩევ ჩვენს მოღის ქალებსა
ეს ერთი რჩევა გაგიგონ:
კაბებს ტყვიები შემოხსნან
კენჭები შემოარიგონ.

მით ვიამაყებ: სამშობლოს
ქალთაც შესწირეს წვლილია,
თორემ ხომ ხედავთ, ეშმაკის
მათრახი ჩამოწვნილია.

ქარაჩოხალი.

*) ეს ტყვიები ქალებს შემომწვევრებულ აქვთ კაბე-
ბის კალთებში ზაფხულის პალტოებში და ჟაკეტებშიც ერთი
სიტყვით დიდ-ძალი ტყვია შეიკრიბება**).

**სწორეთ ეს სახელმწიფოებრივი მოსაზრება გვაშო-
ქმედებდა, როცა ამ ლექსს დასაბუქლათ ვგზავნიდით.
ეშმაკი.

ზატარა ფელეტონი.

სამხედრო მიმოხილველი.

თუ ქვეყნად ცოდვილი ვინმე კია, ისეთი ცოდვილი, რომლის შეცოდებას ვერ გამოისყიდის საუკუნეთა განმავლობაში ლოცვა და მარხულობა, ეს უთუოდ გერმანელთა სამხედრო შტაბია.

რისთვის?

აბა რა საკითხავია! ქვეყანაზე, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ორასი გაზეთი იქნება (სამი ჯერ მარტო ფედერალისტურია) და თითოეულ მათგანს ჰყავს თითო, (თუ მეტი არა), სამხედრო მიმოხილველი. ბევრი მათგანი პირდაპირ პოლკოვნიკია, მაგრამ განურჩევლად ჩინისა, ყველა საერთო ტაფაში იწვის, რომელ ტაფასაც გადაქრით შეგვიძლია ვუწოდოთ „განზრახვანი გერმანიის სამხედრო შტაბისა“.

თითოეული „მიმოხილველი“ დასცურავს ამ „ტაფაში“ ატეხილ დებეშათა სააგენტოს ტაღლებზე და ამინდის გამოურკვეველობა უზომო სატანჯველში აგდებს მას. ფიქრობენ: აი ამ ნაპირს მიადგება ჩვენი ნავი, აი იმ ნაპირსო, და გაიხედავ, რომ ნავი, მოულოდნელად, სრულიად უცნობ ნაპირზე ირიყება.

ამ მხრივ ყველაზე უფრო ტრადიკული „პოლკოვნიკ“ X მდგომარეობაა. ის ქართველ ბურჟუაზიას აწვდის თავის გამოკვლევებს ომის შესახებ გაზ, „საქართველოს“ ფურცლებზე. წინეთ, როცა „ხრაკვა“ უფრო გარკვეულ „ტაფაში“ სწარმოებდა, პოლკოვნიკი X (იქსი) აშკარა „დაცხების“ კილოთი სწერდა.

„სად დავიწყებთ მოქმედებას ვერ გეტყვით, ამბობდა ერთი დიპლომატი, — მაგრამ ყველაფერი მზათა გვაქვს, რომ ინგლისელებს საგრძნობ ადგილას დავცხოთ.“ (საქ. 164)

„არა მარტო რუსეთს, არამედ მთელს მსოფლიოს ამ ომმა საშინელი წერაქვი დასცხოო“, სწერდა მეორე ალაგას „საქართველოს“ სამხედრო მიმოხილველი.

„დაცხების“ ტაქტიკამ ისე გაიტაცა იმ ხანების „საქართველნი“, რომ ვინმე რეცენზენტი, (შეიძლება ისიც „პოლკოვნიკია“) სწერდა გამყრელიძის შესახებ: „გაბუა (ვ. გამყრელიძე) მოხაზულ

ფერადებით, შეუდარებელი ხმით. ავტორი მგონი ვ. გამყრელიძის მიერ განხორციელებულ გაბუას უქველია ბეჭედს დასცხებს, რომ მომავალში სხვამ ისარგებლოს იმა სურათით“ (საქართ. 165).

ამ ბოლო დროს ჩვენი „საქართველოს“ ბურჟუაზია ცოტა არ იყოს დადინჯდა, „დაცხების“ პრინციპი უარყო, მაგრამ... რას იზამ, როცა ეს წყეული სააგენტო... გზა კვალს აგიბნევს და ტაფის კიდზე ხელს არ მოგავლებინებს? მართლაც რა მიმოხილველის დანაშაულია, თუ კი აშკარათ არ ეტყვის თავისს განზრახვას ესა, თუ ის მხარე და განზრახ შეცდომაში შეგიყვანს?

„პოლკოვნიკი“ X ოცდაოთხ აპრილის ნომერში სწერდა: „ყველაფერთ სჩანს, ვერდენის პოზიციებიდან, გერმანელები იხევენ... მართალია, ოფიციალ მოხსენებაში დღეს ნათქვამია, გერმანელებმა მასის დასავლეთით, სასტიკი სროლის შემდეგ იერიშები განახლეს „304“ მალლობის, სადაც მოწინავე თხრილები წაგვართვესო, მაგრამ ყველა ეს მხოლოდ ლიკვიდაციის მოსამზადებელი ნიშნებია და ერთგვარი სტრატეგიული საშუალება.“ (საქართ. 91).

ვინ იქნება გულქვა, წაიკითხოს ეგ სტრიქონები და „პოლკოვნიკი“ X-ის სტრატეგიაში ექვი შეიტანოს?

მე, რა თქმა უნდა, არ მეგულვება ასეთი მკითხველი.

მაგრამ დახე გერმანელთა ვერაგობას! თურმე, სწორედ იმ დროს, როცა ქართველი „პოლკოვნიკი“ X-ი თავის ღრმა მოსაზრებებს სწერდა, იქ, ვერდენის მიდამოებში ისინი „უსაშინლეს“ თავდასხმას ამზადებდნენ. მოდი ენდვე მათი ჩვენს დროში ყველაფერს ფასი დაეკარგა, გარდა შაბიამანისა. ზარბაზნის ყუმბარებმა ერთიან დაანგრიეს „304“ მალლობის ცალი გვერდი და ფრანგები იძულებული გახდნენ ის დაეცალათ. ვინ იტყვის აქ გერმანელთა გარეშე ვისმე დანაშაული მიუძღვისო, მაგრამ პოლკოვნიკი X-ი საქმეს სხვანაირათ უყურებს: 25 აპრილის ნოიერში იგი სწერს:

„ასე არეულ-დარეული ცნობები, ანარქიული მდგომარეობა, რაიცა არსებობს დღევანდელ დებეშათა სააგენტოთა გამო, ყოველისფერს აღემატება. გერმანელთა იერიშებზე ფიქრიც არავის უნდა ჰქონოდა“ და სხვ. (საქართ. 92).

მართლაც აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა.

განა როდის უნდა მოეღოს ბოლო ამ სატანჯველს?
 „ერიშებზე ფიქრიც არ უნდა გვექონოდა“ და ისინი
 „უსასტიკეს“ „ჯერ არ ნახულს და არ მოს-
 წრებულ“ იერიშს ახდენენ! განა შეიძლება ეს?
 ნუთუ ნაციამ ასე უნდა დაჰკარგოს კაცთმოყვარეო-
 ბის გრძობა და თუნდ ერთხელ მაინც არ შევი-
 დეს იმ წამებულ მუშაკთა მდგომარეობაში, რომ-
 ლებსაც „სამხედრო მიმოხილველი ეწოდება“

მე წინადადებას ვაძლევ „ქართულ კულტუ-
 რულ დაწესებულებათა კავშირის“ გამგეობას აღს-
 ძრას ამის შესახებ სათანადო შუამდგომლობა.

მორიელი.

პატარა ფოთის მცხოვრებლებს.

პასუხი „პროტესტის“.

თქვენი მინდობილობით
 (თავის ცოდნა ზრდილობით“)
 ვილაც ანდრო მესხმა
 „პროტესტების“ შესხმა
 რაკი მოიწადინა
 („ზურგზე ბოლიც მადინა“)
 ვითომ. რა იქნება
 რომ მიბოძოთ ნება
 პასუხი მოგახსენოთ
 სიტყვებიც გაგახსენოთ
 ნაბრძანები ანდროსა?
 (თქვენც მიყუროთ ამ დროსა)

„მასწავლებლის გადენა
 ცხადათ მოგვიგონეთო,
 თუმც მის მოსაშორებლათ
 ძალა თუ ვიღონეთო
 ჩვენი ქცევა ამგვარი
 რატომ გაგიკვირდათო
 რადგან დიდი ხანია
 მისი ჯინი გვექირდათო“
 ამიხსენით გეთაყვა
 ვექილ ანდროს გაფიცვით
 რასაც ვარყოფთ იმასვე
 თქვენვე რატომ ამტკიცებთ?
 „რადგან ქეშმარიტება
 აღარ დაიმალოა


მასწავლებელს ვაჩვენეთ
 ფიზიკური ძალაო“.
 აგი ჩვენ ხომ არ გვითქვამს
 და არც დაგვიწერია?
 რაზეც გულმა ვიწყობა
 ჩვენი თქვენც კი გწყენია,
 თანაც დასძენთ ვითომდა:
 „ძალა არ გიხმარიათ“
 აბა ნებით ვალახეთ?
 (ისემც ვაგვიხარიათ)
 „ცოლქმარიც არ გაყრილან,
 გვიგონებენ ჰორებსო...
 ისე ყვარობს ერთმანეთს
 ვერვინ მოაშორებსო“
 ასეთ ტყუილს თუ კი თქვენ
 აპატივებთ ანდროსა
 მოჰკდეს, მას თუ ბუტუნამ
 თავი გაუყადროსა.

მოძღვარზეც საყვედურობთ
 რადგან იგი ბერია
 იმ ცოლ-ქმარზე ჯვარი ხომ
 კარგათ დაუწერია?
 უკული თუ გაშორდენ
 ჩხუბით ერთი მორესო,
 პაპა ამბობს ედება
 ანდრო ლობე-ყორესო.
 ჩვენც ვუმატებთ: ლოლიკა
 ანდროს თუ არ სჭირია
 „როცა თქვენი სოფელის
 მაგიორი პირია“.
 სულელებათ ნუ ნათლავს
 მთელი სოფლის გლეხებსა
 თვარა ამ ხეტიალში
 წაიბოროკებს ფეხებსა.

ბუტუნა.

გაზეთ „საქართველო“-ს I მაისის ნომერია **საბან-
 გავოდ გაპოიცი**. სურათებიან დამატებაში 8 გვე-
 რდია, გაზეთში — 6. დამატებაში მოთავსებულია ქა-
 რთველ მხატვრების მრავალი სურათი და ქართველ
 კლასიკების ლექსები და ლეგენდები მიძღვნილი თა-
 მარისადმი. გიზეთში დასტამებულია: ქართველ ცნო-
 ბილ ისტორიკოსების წერილები და მიმოხილვები
 თამარ მეფისა და მისი დროისა.

აბასთუმანი



სასახლე ჩამონგრევია
ჩვენს „თეთრ ყვავილს“, (გვირილსაო)
აბასთუმანი ვერ უძლებს
მის მოთქმას და ტირილსაო.

საყოველთაო კუპატები*)

ღედები—აღარ ღედობენ.
გადიები პარპაშობენ...
მამები კი ღლე და ღამე
ნარდს და ბანკოს თამაშობენ!

*) ამის შემდეგ ჩვეულებრივად „კუპატების“ მაგიერ, ჩვენ „კუპატებს“ ვინმართ**), როგორც ნაწყვეტებს.
ავტ.


**) თქვენ კი იხმართ კუპატებს თუ ვშმაკმა რეკვიზიცია არ მოახდინა.

რედ.

და შვილებიც მათის ცქერით
ქეიფობენ—ლაზლანდრობენ,
„ცხოვრების მისწრაფებაა“
მეცნიერულადა ბჭობენ.
*

მეგობარი—მეგობარსა,
არ უყურებს ურბის შორსა
და, თუ საქმემ მოიტანა,
გუდით დააბღერტავს ჭორსა..
*

მეზობელი—მეზობელსა,
ეკიდება დიდის რიდით;—



მკითხველი. მოდი და გაიგე რას ნიშნავს ეს აბლა-უბლა!

მაგრამ ქვეშ-ქვეშ უთვალთვალეებს
სიშურნითა და სიფლიდით!

*

მოვაქრენი ერთმანეთსა
დასცინიან, ძრახვენ, გმობენ
და ბეჩავის მოკულებას
კი უწმინდეს მცნებათ სცნობენ!..

*

მოხელენი? — ეჰ, ესენი,
ან კი როდის მოხელობდენ?
ხომ ვიცით რო ჩაგრულთაგან —
მდიდრდებოდენ მარტოდენ.

*

ცოლები — ქმრებს გაურბიან,
ქმრები — ცოლებს აღარ სცნობენ!
განგაში აქვთ სიხარულის,
როცა სხვით — სხვას გაიცნობენ!..

*


რძლები — დედამთილებს სცემენ.
მამამთალებს ტყავს აძრობენ

და ამგვარი საქციელით
ღირსეულათ ამაყობენ.

*

ქალწულებიც ურიდებლად,
თავისუფლად მაქანკლობენ
და ამითი ქსელში გაბმულთ
სულსა ჰხუთვენ და ამხობენ!!

ხვლიკი.



გურული სცენა.

ხომ გაგიგონიათ ბატონო, ჩვენი ძველი კაცის ნათქვამი: „ჯორი მოგერიოს დაგამტვრიოს, დედა-კაცმა კი, ან დაგაქციოს, ან ფათერაკი შეგამთხვიოსო“, მეც ასეთე დამემართა ძამიავ. გადამეკიდა ჩემი მარიკელაი, არ მომცა საშველი და გასაქანი, აგოი და ყველა ჩვენმა მეზობლებმაო: სილოვანამ, კოწიამ და ილაკრიამ, აფხაზეთიდან მეიყვანეს ძროხებიო, და იმისთანაი კაი ძროხები ამ ჩვენ მუხურში არ გაგონილაო, დერგები ვერ უუთავეს ყველს ჩასაწყობათო. შენც, ჩემო პავლიავ, გადაწყაპუნდი ერთი აფხაზეთში, კაი ძროხაც წინ გამეიგდე და მოწყაპუნდი ისეთო—ჯერე კი გავდექი განზე, მარა ხომ იცით, დედაკაცის სურვილს ვერაფერი ვერ უუდგება წინ და მეც გადავსწყვიტე აფხაზეთში წასვლა და ძროხის ყიდვა. გადავჩაქურდი ჩემი მოსირმული ჩაქურაით, გადვიკიდე ყაფლლანი, ბაბაის დატიებული ფიშტო წელში გვეირქვე, ძველებური ყამაც ზედ მივიყოლე და ისეთე გამოვსკვინილდი, რომ აფხაზეთში ძროხის საყიდლათ კი არა, ამ ჩემ გათეთრებულ წვერეზა რა შექნა თვარა პავლიე ქალის სათხუარათ მივაო იტყოდენ. ჩავედი ფოთში ლოთიანათ. ზღვას და რაცხა „პარანხლია“, იმას რომ შევხედე უტბათ, კი ამცხეთა ტანში, მარა აღარ შევიფერე, ვვიდე ძამია ბილეთი და ჩავეყედი შით ლოთიანათ. ამიკანკალდა გული, მომისავდა მუხლებში. ვაი გვეფიქრე გუნებაში, ჩემი ლომიავ და გიშერაი გამეყედა და აქანაი არ წამოვსულიყავი მეთქინ; იბლოქინა რაშკოვის ვირივით და დეიძრა მარა ვაი ამისთანა დაძვრას; მაქანჯალა, მახტუნა, ხან იქით, ხან აქეთ, ლოთიანათ, ხან ზეით, ხან ქვეით, ხან დაბლა ხან მაღლა ლოთიანათ და თუ უკაცრავათ არ ვიქნები ამ პასუხიზა ისეთე ამირია გული და მუცელი, რომ რაც ლობიე მიქამაა ჩემს სიცოცხლეში, ერთი კაკალი მუცელში არ დამრჩენია. ამ წვალეობით მივაწიე რავარცხა სოხომში და მივედი მოყვრისას, ღმერთმა ააშენოს, კარქა დამიხვდა. რავაც იქნა მოვსულიერდი, გამოვსკვინილდი ლოთიანათ და ვიფიქრე: ერთი დევიარ ამ სოხომს მეთქინ. გვეყედი ერთ დიდ ულინცაზედ. ისეთე თავამათ მივბაკუნობ, გინდაც ჩემს ოზურგეთში ვიყო. ამასობაში ვინცხა ერთი ხმელი, მაღალი კაძახი შემომეფეთა წინ და ვაცილებული რაცხა მი-

თხრა: ვიფიქრე ჩემი ტანისამოსი და იარალი თუ მოეწონა მეთქინ და შევძახე:

—რაი, რაი ძამიავ მეთქინ!—ზეაგალლეტ, გურულოო, ზეაგალლეტო. დედავ რას ვყურობ ამას, გადვირიე კაცი! ვიფიქრე, რავა და მე ზარბაზნის მეთი არაფერი მაკლია და ამ კაძახს ჯოხიც არ აქ ხელში და რაფერ მიპირობს აღლეტას იარალისას მეთქინ, დედავ ღმერთო, რაფერ მიცნო ასეთე ძაბუნ კაცათ მეთქინ.—ვინცხა ხარ, ძამიავ, დამეთხუე, თვარა აღლეტა რაფერ უნდა განახებ ლოთიანათ მეთქინ.

ზეაგალლეტ გურულოო! კილომ ქარ მითხრა!!?

—ვერ ამალლეტ მეთქინ შევსძახე ცივათ, კაძახო გადარეული უნდა იყო ვინცხა ხარ შენ მეთქინ, შენ აბდალო მეთქინ. რავა და რავა წავხტები ყველაყაი ამალლიტო ერთათ მეთქინ, ყაფლლას ამალლეტ ფიშტოს ვიძრობ ლოთიანათ, ფიშტოს ამალლეტ ყამას გაგიყრი მუცელში ლოთიანათ მეთქინ, ამა მობრძანდი და შინჯე ერთი აღლეტა მეთქინ. რაცხა დეიწყო ფხაკუნი და კილომ „ზეაგალლეტ გურულოო“, რომ მითხრა და მაშვინ კი მივხთი, რომ აი კაძახი ვინცხაიდან შემოჩენილი უნდა იყოს (რავიცი ძამიავ ტერი ყველას ყავს) და ნამდვილათ ჩემი სირცხვილის ქმოვა უნდა ამ ევროპაში მეთქინ, გავჩერდი შტრინგათ, გვეიდეგი ფეხი, ვიძრე ფიშტო, მოვმართე ქვინთი¹⁾ და უნდა გუუბგიალო ლოთიანათ ამ ჩემს დამხთურს, რომ ამასობაში ერთი ნაცნობი მეჯოგე მეგრელი ქარ წამოგვეფეთა. პავლიავ რა დაგმართიაო, მიყვირა,—რაი ძამიავ და მივიდოდი ჩემდა, დამხთა აი გადათრეული ვინცხა არის და იარალის აღლეტას მიპირობს ამ შვა ევროპაში მეთქინ. შენ ხომ იცი რა კაძახი ვარ, ნასათბვარში რომ ბურთი გავარდებოდა, ლელო ცხემლის ხიდს გატანილი მქონდა და ამ წუწქმა არ იცის, რომ იარალს პავლიას ვერავენ ვერ აღლეტს მეთქინ. ზეაგალლეტ გურულოო და დედადევი ფიშტო შით გულში ლოთიანათ, რომ მეთეკა ტაგუე ხელში; პავლიავ როის შექანჯალდი შენ, რავა კაცი გამარჯობას გიჩივა და შენ კი გაგიმარჯოს მაგიერათ მოკლას უპირობო. კალამ გადვირიე კაცი, შემცხვა, მარა რაღას ვიზამდო. თურმე ზეაგალლეტო კარ მიჩივოდა, არა, თურმე „ზეარაპეტო²⁾“ მიჩივოდა და ავი გამარჯობას ნიშნავს თუ-

1) ქვინთი, ფიშტოს სახსარი არის.

2) ზეარაპეტ—აფხაზეთრათ გამარჯობას ნიშნავს.

რმე ჩეენებურათ. აი ახალ ნაზიარები კაცი კალამ წავწყდი სულიან ხორციანებ, ძროხის ყიდვა კარა ციმბირში კალამ დვევიკარგე თავი ამ სიბერის დროს მოდი ახლა და ენდვე დედაკაცის ქკუას და მიყვევი მისს რჩევა დარიგებას.

გრიშა გურული.



მოსსენება

ბათუმიდან.

ლომობიერების უარმყოფელო და მბრძანებელო მრისხანევე, შმაგო, ჯოჯოხეთისა სრულიო მპყრობელო, ცოდვილთა მეფევე დილო ეშმაკო! აჰა, ვასრულეებ ბრძანებას შენსა, დიდ ყურადღების მოპყრობის ღირსსა და აღვიწერავ იმ საშიშ სენსა, რაიც აქ გზების მუშებსა სჭირსა. რის წყალობითა და მეოხებით მოსდის მათ ხშირად ჩხუბები დიდი: სცემენ ერთმანეთს კეტებ-ჯოხებით, თან იფცქვენებიან ისე, ვით თითი. თუმც მართალია ასეთი სენი, რასაც ვეხები ამ სტრიქონებში, არსად არ არის თქმულ-მონახსენი მედიცინურსა ლექსიკონებში, მაინც ცუდია, რადგანაც ისა რომელ მუშასაც კი დაიმონებს, ის მუშა მერმე, გარდა კარტისა, სხვას აღარაფერს აღარ იგონებს. და სამწუხაროთ აღენიშნო უნდა, ამ სენით მუშის ცხრა მეათედი ძლიერ დაეცა და დაძაბუნდა და დაავიწყდა თვისი სვე-ბედი.

დღეს მათსა მიზანს შეადგენს მხოლოდ: როგორც კი ფულსა იგდებენ ხელში უანგარიშოთ და უთავბოლოდ სრულად გაფლანგონ კარტ კამათელში. ყოველ საღამოს მათსა ბინებზე ნახავთ შემდეგსა სანახავებსა: (მუშა არ ნაკლებ ხაზენებზე ერთი მეორეს რომ ატყავებსა) აგერ „ბაქარა“, იქ „ცხრა“ და ან კი „ოთუზბირი“ და კამათელია ცოტა იქითაც „იხსნება ბანკი“ ან კოქს აგორებს ხროვა მთელია. ზოგი, თამაშში მეტად „ჩამწვარი“ უკანასკნელსა აგეებს ყურუშსა*), ზოგიც უგულო (პირს ნერწყვ ჩამდგარი) მხოლოდ ქცერილთა იკლავს „ხურუშსა“. ღამის ოთხამდის (ხან მთელი ღამე) მათ არ იციან, „საქმის“ შაბაში (რა ქნან, რადგან დღით არ აქვთ სიამე ნაცვლად „სტკებებიან“ ღამის ჯაფაში. ფული კი ყუმრის კანონის ძალით მეტომბის ხელში გადადის ყველა, სხვები რჩებიან პირ-სავსე ჩალით, ვალში ჩაფლულნი, შიშველ — ტიტველა. მაგრამ, ეშმაკო, ნუ კი იფიქრებ, რომ ამ მუშებსა (ვით ბევრი სხვები) ყველას ერთბაშად გარს შემოიკრებ და ჯოჯოხეთში წინ შეუძღვები. თუ არ გვირჩა თეთრი და შავი უმისოდ არ გვაქვს ჩვენ სრული ნება, რადგან მათშიაც ქრისტეს მოსავი კიდევ მრავალი მოიძებნება. უკანასკნელზე არა გვაქვს ხელი... აქვე ყავს მცველი მას მიწიერი, მათ გარდაც არის აურაცხელი ცოდვით აღსავსე და ბიწიერი. ჩვენ თუ გადაფხვკოთ რიგ-რიგათ ყველას მუშებს-რიადიკ-ტაბელჩიკებსა, ბევრს აუტეხავთ სიმწრისა ხველას და დაუდაღვთ კულის რიკებსა. მუშათ ჩაწერილს, ყველა ტაბელში ჩვენ აღმოვაჩინეთ შულღერს მრავალსა, ყოველ საღამოს კარტ-ზარით**) ხელში


*) ყურუში — შაური.

**) ზარი — კამათელი.

მუშათ ბინებზე რიგით მავალსა.
 სამუშაოზე ვერც ერთს ვერ ნახავთ,
 ფულს კი იღებენ ერთი ორად,
 ტაბელჩიკები, თითქმის ყველგან ჰყავთ
 ამხანაგათ და პროტექტორად.
 ერთხელ თვით ვნახე, ასეთმა „ვაჟმა“
 დაიტრაბახა „კოლეგასთანა“
 —ჰო კაცო, იცი? წუხელ თამაშმა
 გათენებამდის ლამის ვასტანა.
 ყველა დაეძარცვე თითოეულად,
 (გაკეთებული მქონდა ზარია)
 ოცი თუმანი დავთვალე სრულად
 როს ადგილიდან დავიძარია“.
 მეორემ უთხრა:—„მეც წინა ღამეს
 ახალ მუშებთა შორის ჩავარდი
 და რაკი მიფხვდი მათსა სიხამეს
 მყის სხვანაირად ჩავაწყვე კარტი.
 „პალუჩკაც“ თურმე იმ დღესა სწორეთ
 აელო ბედზე ყველას მათშია.
 ხან კარტი, ხანაც ზარი ვაგორეთ
 გავსწმინდე ყველა ოთხ საათშია“.
 ერთმაც ორ ღამეს ასი მანეთი
 აილო ერთ ძველ კარტში ქირადა.
 (მე ერთი ვნახე თუმცა, ამგვარი
 ამბები აქეთ ხდება ხშირად).

—
 აი ესენი გახლავთ იმ სენის
 ბაქტერიები და ბაცილები,
 ღირსნი მათრახით ზურგების ტკენის
 და კუპრის ტბამდის მისაცილები.
 ჰო და ამიტომ შენგნით მოველი
 მე გამოცდილსა სანიტარებსა,
 რომ ჩვენი კერძი „მუშა“ ყოველი,
 ვინც ასეთ საქმით დროს ატარებსა,
 შევიპუროთ ყველა ისეთ სისწრაფით
 რომ დავავიწყოთ „ოთუზბირია“,
 და შებორაკილებს, მორიგ ეტაფით
 ჯოჯოხეთისკენ ვუქნათ პირია.

კვახი.



ს ა ა თ ი.

მარკ ტვენი.

(თარგმარი)

ჩემი მშვენიერი, ახალი, საათი მთელი ორი
 წლის განმავლობაში ვასაოცარის სისწორით მუშა-
 ობდა. არც წინ წასულა, არც უკან ჩამორჩენილა,
 არც შეკეთება დასჭირვებია. მე უკვე შეეუცდომ-
 ლათ ვსთვლიდი იმის მოსაზრებას დროთა მსვლე-
 ლობის შესახებ, ხოლო მის აგებულობასა და ცხო-
 ველმყოფელობას შეურყეველად. საუბედუროთ,
 ერთ საღამოს, მისი მომართვა გადამავეწყდა. საათი
 დადგა. მე ძლიერ დამაღონა ამ გარემოებამ, მით
 უმეტეს, რომ იმისი დადგომა რაიმე უბედურობის
 წინამორბედ მოელენათ ჩავთვალე. ძლივ-ძლივობით
 შემოვიფანტე შავი ფიქრები. მოვმართე საათი,
 დავაყენე ისრები ალალებელზე და გამოვრეკე თა-
 ვიდან ცრუ აზრები, მძიმე წინათგონობანი.

მეორე დილით შევიარე ჩვენს ქალაქში საუ-
 კეთესო მოხელესთან, რომ შემემოწმებია ჩემი საა-
 თი. მე თითონ მინდოდა გადამეწია ისრები საჭირო
 ალაგს, მაგრამ მესაათემ ხელიდან გამომართვა,
 დახედა და ბეჯითი კილოთი მითხრა:

— ოთხი წუთით ჩამორჩენილა, საჭიროა რე-
 გულიატორი გადავსწიოთ.

ესცადე წინააღმდეგობის გაწევა. მინდოდა გა-
 მეგებინებია, რომ საათი ჩინებულათ მუშაობს. ამა-
 ოდ! ეს გოგრა, კაცის სახისა, ერთსა და იმავეს გაი-
 ძახოდა:—საათი ოთხი წუთით უკან რჩება, საჭი-
 როა რეგულიატორის გადაქანება. მე ვსთხოვდი,
 ვევედრებოდი არ ექნა ეს, ტანჯული სახით დავ-
 ტრიანლებდი გარშემო, მაგრამ ყოველივე ამაოდ!
 გულცივი სიდინჯით მოიმოქმედა მან თავისი საზიზ-
 ღარი საქმე.

ჩემმა საათმა ფეხი აიდგა! რაც დღე მიდიოდა
 სულ წინ და წინ გარბოდა. პირველი კვირის გან-
 მავლობაში ნამდვილი ანთება გაუჩნდა. მაჯის ცემა
 ჩრდილშიაც 150-მდე აღიოდა. ორი თვეც არ გა-
 სულიყო, რომ მან უკან მოიტოვა ყველა ქალაქის
 საათები და თვით კალენდარსაც ოცდაათ ნახევარი
 დღით გაუსწრო.

მცენარეები ჯერ კიდევ ოქტომბრის ფოთლებ-
 ში იყვნენ გახვეულნი და ჩემი საათი კი დეკემბრის

თავლში მიჰქროლაოდა, ვადა ბინის ქირასა, სესხის გასტუმრებისა და სხვა ვალდებულობათა ისეთი განსაცვიფრებელის სიჩქარით მოდიოდა, რომ ვე-
ლარც კი ვასწრებდი თავის გართმევას. იძულებუ-
ლი გავხდი მეორე მესაათესთვის მიმემართა. იმან
მკითხა: — გქონდა თუ არა როდისმე შესაკეთებლათ
ვისმესთანო და როცა გაიგო, რომ ჯერ არავისი
ხელი არ მიჰკარებია მას შესაკეთებლათ, რალაც
საექვო ღიმილმა გადაურბინა სახეზე. მან მოუთ-
მენლად გაალო საათი, ჩაჰყო შიგ რალაცა, ჩაიდგა
თვალში პატარა ტიკა, და შეუდგა ბორბლების ერ-
თგულ სინჯვას.

— საქროა ამათი განწმენდა და ზეთის მიცე-
მა, — წარმოსთქვა მან. — ამასთანავე აუცილებელია
რეგულაატორის გადმოქანება. შემოიარეთ ერთი
კვირის შემდეგ.

როდესაც მესაათემ გასწმინდა, მისცა ზეთი და
გადმოსწია რეგულიატორი, ჩემი საათი ისე ზანტად
ამუშავდა, რომ მისი „ტიკ-ტიკი“ უფრო გლოვის
ზარს მოგაგონებდა. მე ყოველთვის ვიგვიანებდი მა-
ტარებელზე, სამსახურში და სახლშიაც მხოლოდ
სადილის ბოლოს ვუსწრებდი. სამ დღეს ჩემი საათი
ოთხ დღეთ აქიანურებდა. ჯერ დავიწყე ცხოვრება
გუშინდელი დღით, შემდეგ გუშინ წინდელით, ბო-
ლოს მთელი კვირით ჩამორჩი. რაც დრო მოდიო-
და მე უფრო და უფრო შორეულ წარსულს ვუა-
ხლოვდებოდი.

მივმართე ისევ ახალ მესაათეს. ამან ჩემს თვალ-
წინ დაშალა მთელი საათი და განაცხადა: — რო-
გორც ხედავთ ღერძი „გაბერილა“, მაგრამ სამ-
დღეში გამოვასწორებ, როგორც საქროაო.

ამ შეკეთების შემდეგ საათმა საშუალოდ გვა-
რიანი მუშაობა დაიწყო. ნახევარი დღის განმავ-
ლობაში ქუდ მოგლეჯილი ძირბოდა აუწერელი
ხრილით, ზუზუნით, კრიჭინითა და ქაქანით. ამ
ხმაურობისგან სულ თავბრუ მესხმოდა. მე დარწმუ-
ნებული ვარ, რომ მთელს სახელმწიფოში, არა თუ
ჩვენს ქალაქში იმას ვერ დაეწეოდა ვერცერთი
საათი. სამაგიეროთ ნაშუადღევს ის თან და თან
ანელებდა ნაბიჯს, და ფეხებს ისე მიათრევდა, რომ
უსწორდებოდა ყველა ჩამორჩენილ საათებს. ამგვა-
რათ მხოლოდ ერთი წუთით დღე და ღამის განმავ-
ლობაში დადგებოდა ისეთი მომენტი, როცა ისარი
ჩემი საათისა აჩვენებდა ნამდვილ დროს, ამ წეს-
რიგს საათი ერთგულად ასრულებდა და არასოდეს
არ დაუმსახურებია ამ მხრივ საყვედური.

მაგრამ საათს მეტ მოთხოვნილებას უყენებენ,
ვიდრე დროთა საშუალო სისწორეს. ამიტომ მე
ისევ მესაათეს მივმართე. მოხელის გამოცდილმა
თვალმა მაშინვე შენიშნა ნაკლი და მითხრა: —
თქვენს საათს გასტეხია პატარა ნემსი. მე მყისვე
სიხარული გამოვსთქვი იმის გამო, რომ მხოლოდ
პატარა ნემსი გასტეხია და არა უფრო დიდი რამე.

სიმართლე მოვახსენოთ, არავითარი წარმოდგე-
ნა არა მქონია იმ ნემსის შესახებ, მაგრამ არ მი-
ნდოდა უცნობი პირის წინაშე უფიცი გამოვსული-
ყავ. ნემსი გაასწორეს, მაგრამ ამან ბევრი ვერაფე-
რი უშველა. ჩემს საათს ახლა ახალი და თანაც
ახირებული ზნე დასჩემდა: მუშაობდა რამოდენიმე
ხანს, ხოლო შემდეგ დადგებოდა და კვლავ მუშა-
ობას იწყებდა. ეს თავის თავათ გარეშე ძალის და-
უხმარებლად ხდებოდა. მუშაობის განახლებისას ის,
როგორც თოფი უკან „დაჰკრავდა“ ხოლმე, მე
ჩემს ჟილეტს ბამბა დავუდღე, მაგრამ დიდხანს ვეღარ
ავიტანე და ისევ მესაათეს მივმართე. ამნაც დაშა-
ლა საათი რამოდენიმე ნაწილათ, გასინჯა თითოე-
ული მათგანი გამადიდებელი შუშით და განაცხადა:
ამას კავშირი აქვს მოშლილიო. გაასწორა კავშირი
და საათი ააწყო. მუშაობა სასურველი დარჩა, მაგ-
რამ ყოველ საათში ორივე ისარი ეხლართებოდა ერ-
თმანეთს მაკრატელსავეთ და მიდიოდნენ ერთად,
განუშორებლათ.

ვერავითარი ბრძენი ვერ გაიგებდა ამგვარ საა-
თზე თუ რა დრო იყო. მე ისევ მოხელეს მივმართე
იმან განაცხადა: — შუშა გამრუდებულა, ჰრუჟინა
გალუნულა და საქროა ავრეთვე ზოგიერთა ნაწი-
ლების განახლებათ.

ამ ნაკლულევიანებათა შესწორების შემდეგ ჩე-
მი საათი ნამდვილ საათს დაემსგავსა. დაიწყო გვა-
რიანი სწორი მუშაობა, მაგრამ ხან გამოშვებით,
დაახლოებით რვა საათის წესიერი მუშაობის შემ-
დეგ, მთელი მექანიზმი საათისა რალაც განსაკუთრე-
ბულ მოძრაობაში მოდიოდა. ისმოდა განუწყვეტელი
ზუზუნი და ისრები ისეთი თავგანწირვით დაჰქრო-
დნენ, რომ დაკვირვებული თვალცი ვერ გაარჩევდა
მათ. ციფერბლატზე ობობას ქსელი გვეგონებოდათ
გაბმული. ხუთი ექვსა წუთის განმავლობაში საათი
მთელ დღე და ღამეს გამოიყვანდა. ხოლო შემდეგ
გაისმოდა ტკაცანი და მუშაობა შესწყდებოდა.

მძიმე ფიქრებით დატვირთული ხელ ახლა გა-
ვიმგზავრე სპეციალისტთან და კვლავ მაყურებელი

გავხდი ჩემი საათის დანაწილებისა: ახლა უკვე გადაწყვეტილი მქონდა სასტიკი შეკითხვები მიმეცა მოხელისათვის, რადგან საქმეთა მსვლელობამ დამაფიქრებელი ხასიათი მიიღო. მე ვიყიდე ჩემი საათი 200 დოლარათ, ხოლო ეს შეკეთ-შემოკეთება უკვე ორი-სამი ათასი დოლარი დამიჯდა. ამასთანავე, რაც მეტს ვაცქერდებოდი მესაათის სახეს, მით უფრო მეტნებოდა იგი. არც მოვსტყუვდი. მომაგონდა რომ ერთ დროს იგი გემზე მემანქანის თანაშემწედ მსახურებდა და ხელობაც გვარიან ცუდათ იცოდა.

იმან დაკვირვებით გადასინჯა ყოველივე ნაწილი, სწორეთ ისე, როგორც შევბოდენ სხვები და ისეთივე გადაჭრით წარმოსთქვა თავისი განაჩენი.

იმან სთქვა:

— საათს ზედმეტი ორთქლი ეძლევა, საქიროა გადავაქანოთ რეგულიატორი.

მე იქვე გაუქეპე მას თავი და ვუბრძანე ჩემს ხარჯზე დაემარხათ.

ზიდა ჩემი ვილიამი (სასუფეველი ზესთა დაუმკვიდროს უფალმა!) ხშირათ იტყოდა ხოლმე: — კარგი ცხენი იმდრომდეა კარგი, ვიდრე არ გაგიტაცებს ხოლო კარგი საათი კი ვიდრე მესაათის ხელში არ ჩავარდება. ის ხშირათ იტეხდა თავს იმაზე ფიქრით, თუ სად მიდის ამდენი უვარგისი მექაბე, ზეინკალი მეჩქემე, მჭედელი და მემანქანეო, მაგრამ საკითხი მაინც ვერ გამოერკვია.



„ეშმაკის მათრახის“ რედაქცია ამით აცხადებს, რომ უსახელო ავტორებისა და უცნობ პირთა წერილები ჟურნალში არ დაიბეჭდება.

შემთხვევითი კორესპონდენტის ვინაობას და წერილში აღნიშნულ ამბის სისწორეს უნდა ამოწმებდეს ვინმე რედაქციისათვის სანდო პირი.

სარედაქციო წერილი უნდა დაიწეროს ქალღალღის ცალ გვერდზე და ყოველ აღნიშნულ ამბავს თან ახლდეს საქირო ახსნა-განმარტება.

რომ სარედაქციო წერილი რედაქციაში მოსკლამდე არ გახსნან, საქიროა კონვერტზე ადრესის შემდეგ დაეწეროს: „ეშმაკის მათრახისათვის“.

უმარკო წერილებს რედაქცია არ იხსნის და დაწუნებულ მასალებს არ ინახავს.

ალ. დ—ძეს. საუცხოვო რამეა თქვენი ლექსი „ერის აღდგენა“ რომელსაც სავსებით ვათავსებთ მაღლიერი სამშობლოს საყურადღებოთ.

ერის აღდგენა.

რაც ძალა და ღონე მქონდა
 მოვიკრიფე გასაფრენათ
 ქართულ ენის აღსადგენათ
 და იმათი გასალხენათ
 მოწყტა ვარდი, ქორფა ვარდი
 ჩემი გულის დასაბჯენათ
 ხალხის გულის ასათრთოლათ
 და იმათი დასაჯერათ
 არც ხმა მაღლა დასამღერათ
 არც ხმა დაბლა გასამხელათ
 არც პირ წაღმართ
 არც უკულმართ
 არც პირნათლად მათ სათქმელად
 მხოლოდ იმათი საქებლათ
 და იმ ერის სადიდებლათ.

სრული დარწმუნებული ვართ, რომ ამ ლექსს ჩვენი განმარტებით ახალს ველარაფერს შევსძენთ. რჩევა ჩვენი ასეთია:

— სწერეთ რაც შეგიძლიათ მეტი.

კაცხი.—აღენს. საქიროა „გამოცანას“ თან ახლდეს საკმაო განმარტება. არ დაიბეჭდება.

ჭავენლ ბზიკს. „დაჩქარებით გაცნობებთ ჟურნალის ფოსტის საშუალებით“, რომ ამ რამოდენიმე დღის წინეთ თქვენგან არავითარი კორესპონდენტციები არ მიგვიღია. ფოსტა გვემტერება!

ძმარ-მუავიას. მიჭირს გაგიცხადოთ, რომ თქვენს ნაწარმოებებს ტრადიკული ბედი ეწია. ჩვენი რედაქტორი ძილ გატეხილი იყო როცა კითხვა დაიწყო და, ჰოი საკვირველებავ, ჯერ ორიოდ სტრიქონი არ ჩაეკითხა რომ ოთახში საოცარი სიმფონიური ხვრინვა გაისმა. ფოცხვერაშვილი არ იყო ახლოს, თორემ დარწმუნებული ვარ თქვენი წერილი სახელს გაიბეჭდამდა, როგორც გამომწვევი მიზეზი. იმედია გვაბატებთ, თუ ეს საიდუმლო საშვალგება ქართველ ხალხს დაეუმაღლეთ. გარწმუნებთ ანგარებით არ მოგვსვლია. გვაოქმედებდა ის აზრი, რომ ქართველი ხალხი ისედაც „მძინარა“ ხალხად არის ცნობილი.

ქულიკს.

„გაზაფხულის დროი დადგა
ცაში ელავს
სკდება მესი...
სალექსავეთ ამოდრავდა
ჩემი ენა,
ხელი, ფეხი...“

დაუყოვნებლივ გვაცნობეთ: ეს ლექსი ერთ
დასწერეთ, ხელით, თუ ფეხით. სანაძლევი დავდე-
ვით.

„კრიჟანგს“.

„მივირის, ჩემი ცოლი კაბას
რათ იკერავს განიერებს?
ნუ თუ ფიქრობს იგი კაბა,
იმას გაამშვენიერებს?“

ასეა, ბ-ნო კრიჟანგო, როცა თქვენ თქვენი
ცოლის განიერი კაბის შესახებ ლექსს გვოგზავნი-
დით, ალბათ დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენს
ქურნალს „გაამშვენიერებდა“.

ამით ვაცხადებ, რომ საესებით ჩემზე დამოკი-
დებულ*) მიზეზების გამო ქურნალ „ეშმაკის მათრა-
ხის„ ხელმძღვანელობას თავს ვანებებ.

თავუნა.

*) თუ დამოკიდებულ მიზეზთ ჩაითვლება ნაკისრი მო-
ვალეობის სისტემატიური შეუსრულებლობა.

ეშმაკი.

გამოვიდა „სს“-ის ახალი ბლოშურა
კონსერვატიზმი, ლიბერა-
ლიზმი და სოციალიზმი.

კანტორა „განათლების“ მიერ გამოცემული.

ფასი 25 კაპ.

აგენტებს დაეთმობათ 20 კ. საწყობი ოლღას
ქუჩა № 6.

იყიდება გასული წლების ქურნალები:

- 1) „ეშმაკის მათრახი“ 1908 წ. 34 ნომერი 3 მ. 50 კ.
- 2) „ეშმ. მათრახი“ — 1909 წლ. 34 ნომერი — 3 მ. 50 კ.
ორივე წიგნი ერთად მშვენიერი
ყლით ელირება — 9 მან.
- 3) „მათრახი“ 1910 წლის 33 ნომერი — 3 მ. 50 კ.

- 4) „ალმანახები“ 1909 წლის 10 ნომერი — 50 კ.
პროვინციაში მსურველთ გაეგზავნე-
ბა ჩვენის ხარჯით ვინც წინ და წინ
გამოგზავნის ფულს ან ფასდადებით
გაიწერს.
აღრესი: Тифлисъ, Типографія
Шрома, Теофилу Болквадзе.

ქურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერ-ჯერობით აგენტებს გაეგზავნება შემდეგი გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „ეშმა-
კის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, ქუთათური „ახალი კვალი“, „კავკასკოვ
სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „ეშმაკი“ და „ხათაბალა“.

აგენტები ვალდებულია მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდა-წინ გადაიხა-
დონ. წინააღმდეგ შეითხვევაში გაზეთები არ გაეგზავნებათ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი აღრესით: Тифлисъ, почт.ящ. № 96,
Сильвестру Р. Гаварткиладзе.

კანტორის აღრესი: ოლგინსკაია, № 6.

პროვინციის ცხოვრება (სამტრედიის)



თაყაიშვილის საგარძლოდან
გიორგის ჰყვეს ოკინკალი...
გადმოვარდნილს თავს დასტირის
მეუღლე და უცხო ქალი.

ბესარიონ გარბის იქით,
სად ხელ გაწვდით სდგას ბუკია,
(როგორც ხედავთ, სანახევროთ
მათი რწმენის ჭაბუკია!)

გარბიან, რომ ინახულონ
ვაჟი ტიტო გიორგის ძმა,
იქნებ შვება მოუპოვოს
„მეგობარში“ ნიჭმა მისმა.